

№ 427

ბიუჯეტი

59
100

ცისკარი

1865

მ ა ი ს ი.

წელიწადი მეუზღე.

წოდება თსსულებათა:

- I — ძორჩილი. (რომანი). . . . ლავრ. არდასიანისა
- II — 1. როგორც გეძი... (ლექსი.) ანტ. ფურცელაძისა
- 2. გლეხის აღსარება (ლექსი.) თ. აკ. წერეთელისა.
- 3. მოძაგუდავი ემაწვლი (ლექსი.) თ. აკ. წერეთელისა.
- III — წანხევსკის ლეკვები. (ნათ.) თ. ვას. ძანაბელისა.
- VI — სხუა და სხუა ანბავი.

ცფილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

თბილისის
საბჭოთაო
ბიბლიოთეკა
N 10486

ცოსკარი

ქართული

სალიტერატურო ჟურნალი.

გამოიცემა ივ. კერესელიძისაგან.

მასი.

წელიწადი მეხუთე.

ათუ შეიყვარო სქენად. — მიითვალე, და
უკოთუ მიუპერა ეური შენი, — ბრძენ იქმნე. »
(წიგ. ისლ. ზირ. თავი 6. მუს. 34.)

ცვილისს.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

ნაწილი 5 .

თავი I .

გამოსაღმება.

ალექსანდრას ეძინა თავისს საწოლში.

გვერდით უსდნენ და იღვიძებდნენ იმისი გამდელი, ხანში შესული დედაკაცი, და მარიკო. წესათ ჭქონდათ დადებული: ყოველამე მანქანისუილაძან, გამდელი და მარიკო იღვიძებდნენ მანამ ისი ღრმა ძილში შვიდოდა; მერმე გამდელი გავიდოდა თავისს საწოლში დასაძინებლად; მარიკო კი იქვე მიეგდებოდა, როგორც მოხუცებოდა, თუმცა ქალბატონისაგან ბძანება ჭქონდა, ულოგონოთ არ დაწოლილიყო.

ღამის თევაში, მანამ ალექსანდრას დაძინებდა, გამდელი ათაში ერთხელ იტყოდა რომელიმე წლაზარსა, ან ძმულ ღრთს ამბავსა; უფრო ხშირათ მარიკო მოუღალავათ ღრთს ატარებინებდა საუვარელს ქალბატონსა, ხან ხუმრობითა, ხან წიგნის კითხვითა.

აქ საჭიროთ ვსტანით ვატნობოთ შეითხველსა რომ

ალექსანდრამ გაზარდა, გაასწავლა და გონებაში ჩაატარა
 მარცო. ალექსანდრას ერთი მხრით ეთაჳილებოდა ტუ-
 დი, გაუსდელი, ან გარეგნული მოსამსახურე არა ჰყო-
 ლდა, მეორეს მხრით მარცო, თუმცა მოსამსახურე
 იყო, მაგრამ ებრალებოდა: უსწავლელი არ დაჩხენილიყო.
 ამიტომაც ასწავლა წიგნა და წერა, თავისეულათ გად-
 მოღება ქალღმრთე აზრისა; ასწავლა ზრდილობა, და რე-
 გორც იტყუან, სიტყუასხასუხა, გავლასგამოვლა, ადგომ-
 დაჳდომა, საქმე: კერვა, ქსოვა, გამოჭრა, უთო .. ნამუ-
 ტნაუთ ალექსანდრა ცდილობდა ჩაეკანკებინა, რომ ქალი
 არ არას დაბადებულა, როგორც საშუალობა, დასაკმა-
 ყოფელად ვაჟის გულის თქმასა და რომ ქალი და ვაჟი
 დიხსებით და ზატოვით თანასწორ არიან, და მაშასადამე
 ქალმა არ უნდა დაიმტროს თავისი თავი იქამდან, რომ
 ვაჟს საშუალობით მიხნდეს ისი, როგორც მიხნით
 თათრებსა. ალექსანდრა მასწუდა თავისს სწადელს: მა-
 რცოცს გაეხსნა გონება და ცხადათ შეიკნო იმან თავისა
 დაჩხება და ზატოვა, რომლებსც უფთხილდებოდა სრუ-
 ლის ენერგიით, როც რათც ნაჭებსა, დუთ სავან მან-
 იჭებულებსა. ესრეოს თავისს თავს გამოცნობას მარცო
 თვთ საქმით ამტკიცებდა, ამიტომაც უუჭარდა ისი ალექ-
 სანდრას; ამიტომაც მარცოცსც გავიყებით უუჭარდა ქა-
 ლბატონი, იქამდან რომ ვუჭარს არ იწერდა როსტომ-
 ზე. მანამ თუთან ალექსანდრა არ გათხოვდებოდა; ალექს-
 სანდრამ ნახა რა მარცო იმ წერტილზე მდგომარე,
 რომ თავისს თავს, ქმარსა და შვილებს ჳარვა მოუვლიდა
 და უზატრონებდა, მისცა სება ქმარი შეერთო, რადგანც

იშინო საკუთრება იყო და არც დედამა დაუშლიდა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ან მოეცაღნა მანამ ის გასთხოვდებოდა. — ასე ექსელებოდა. მასთან მოშორება! — ან წავიდენივე ხანს დარჩენილიყო იმასთან, ქრმის ხელშიაღ, მანამ შეუჩქტადა და მოითმინდა უიშინობას. მარკომ პირჩქტა პირობა ირჩია, ეს იყო მიწყსა, რომ ისი ჯერ არა თხოვდებოდა.

იმ ღამესაღ, როგორც კელაგ, გამდეღი წავიდა დასაძინებლად. მარკომ კარება ჩაკეტა და დაწყყო ახლად გამოჭრღელ მოვის კაბის კერვა. კერვაში ისი ფიქრობდა და ხშირათ აზიარხრავდა ხოღმე. ფიქრში და ხელსაქმეში ისე იყო გართუღი, რომ გათენება ვერ გაიგო. ხანა რა, რომ ქალქს მოჭყენოდა დღის ნათეღი, უცეხ წამოხსტა. თავი გაისწორა, სანთეღი გააქრო და დაპირა წასვღა. ხაურობასე აღექსანდრამ გაიღვიძა.

— სად მიხჭაღ, მარკომ? — ჭკითხა აღექსანდრამ, და თჭაღებსე ხეღი გაღისო.

— გათენდა. ქალბატონო! დროა ჩემი ადგომისა; თქჭტს გი მოიხვენეთ.

— მაინც აქედამ რათ მიხდინარ? მარტო ვრჩები.

— მიხაკო ხახოღში მიბძანღება და როსტომიც მიჭყუავს თან, — თჭჭა მოახღეღ ნაღვღიანად.

აღექსანდრას ეღდა ეცა, გულმა ტემა დაუწყო, ფერმა გადაჭკრა; მიგრამ ქალი მაშასვე დაგუღისხმდა და რომ არ შეეტეობინებინა მარკოსთჳს გუღის მოძრობა, გასმსენღდა და გადაბრუნდა შეორე გვერდსე.

— ეგრე გაუფრხიღეღბეღი როგორა ხარ, მარკომ, რომ

გულის ძილში ვიყავ და ხმაურობით გამაღვიძე. — უთხრა ალექსანდრამ დაბალის და ნახის ხმით, თუქოს ეშინოდა. ხმის კანკალი არ გამოუღაზრებოდა.

— მამიტყევო ქალბატონოვან, თქვენს სახელს კენაცუალე — მოახსენია მარიკომ შეწუხებულის სახით: ეს რა დემეთი გამიწერა! ოჰ, გონება როგორ დაგვარგე!

— ნუ სწუხარ, მარიკო! გადმოხძახს ალექსანდრამ ბირიქით მწოლარემ: ისევე საჩქაროთ დაიქმინებს. მე აღარ გემდგერი.

— კენაცუალეს მარიკო, რომ ეგეთი შაქარზე უტკებუსი ბძანდებით! — ოჰ! ...

— რასე ამოიხსნე, მარიკო? ჭკითხა ქალბატონმა.

— მიხაკო რომ მიდის საომრათ.

— რაქნათ! საცა უნდა წავიდეს მიხაკო! შენ რათა ხსრავ? — ჭკითხა ალექსანდრამ. რომელიც ამ უმათ გადმოხბრუნდა ისევე და რომელსაც აღარ ეტყობოდა ცვლილებას ხსემს და აღარც გული უცემდა.

— იმაზე მოგახსენე, რომ როსტომსაც თან წაიყვანს, მოახსენა მარიკომ,

— მაგასე რათა სწუხარ, მარიკო! მაგისტვს რათა ხსრავ! რატო არ ძეი, უღუთოთ არა იქნება რა. თუ როსტომი შენი ბედია, უთუოთ დაგიბრუნდება მშვიდობით, და თუ არ არის შენი ბედი, რაღა გაწურობა! ღუთის განგებას უნდა დამოაჩილდე.

— მართალი ბძანება გახლავს, თქვენნი ჭირიმე, მაგრამ გული რომ ვერ ითმენს!

ეს სიტუცა იელივით მოხუდა ალექსანდრას გულს,

რომელიც აუჩქროლდა და რომელმაც აგრძნობინა, თუ რა ძნელი იყო მასთვის მიხატვის გაშორება შორს ქუჩა-ყანაში, სადაც ყოველ წამს იქნებოდა განსაცდელი. ამიტომაც შეებრალა საწუალი უმაწვლი გოგო.

— შეეურება, მარკო, შეეურება, უთხრა ხმის განკა-ლით ალექსანდრამ: წადა და გამოესალმე როსტომისა, გზა დაუღოცე და ეკედრე ღმერთსა მშველობათ მოგკუჭა-როს.

მარკო სინაჩულით აფთრობილი წავიდა როსტომის სანახავთ.

მანამდინ ძალის ძალათ შემავრებელი გული, ალექსან-დრამ კელარ შეიმავრა და გადმოყარა მისჯლი მარგალიტივით ცრემლები. ქალი სტირს უნუგეშოთ; აწმუნდს წმინდა ბატისტის ხელცახოცით ცრემლებსა; კროს რიგს ცრემ-ლებს მოაწმუნდს, მეორე რიგი მაშინვე გადმოსცვვა მშუჭინერ თვალებისაგან დახატულ ლაყუბსე, და მესამე რიგი, ბრილიანტებრ, აურია გჟელ წამწამებზე და აზი-რებენ დასცვდნენ... რომ დაგეხანათ მასის ალექსანდრამ, თქუჩნც უნებლიეთ, უგრძნობლად, უარაოდ გადმოგცვ-ვდებოდათ ცრემლები! თქუჩნ სანავლით ანგელოზებრივ სახესა, მასთანვე გულ მტკივნეულსა, რომელიც გეჩუჭ-ნებოდათ მგზავსად განშორებულ ბრწყინვალე ვარსკულა-ვისა!

ქალი წევს მარჯუჭუნა მხარზე; ქალი ერთმანერთში დაჭკეტს ორისაკე ხელების თითებსა. თვთქოს მუნჯათ ლოცულობს, თვთქოს გონებით და გულით ღმერთთან აჩის, თვთქოს რადსაც ეკედრება!... აჭა, კენესა გული-

სა მას დაუდგება, ცრემლი შეუმსუბუქებს მწუხარებას, დაუმზღებს გულსა, ჭბადავს მასში სასოებას... მე რე ძირს დაიხედავს, ყოველივე ციური დაავაწედება, თქრობს, გულზე ღრუბელივით საღველი გადაეფარება წუსს, იტანჯება, იქნჯება, ილალება, მოსწედება, თავს ბალიშზე გადაგდებს როგორათაც გულში ტუჯთ დაჭრილი ტრეკა დი. ამ მდგომარეობაში არის რაკვდენიმე ხანი, თვთქოს სული არ უდგას, არასა თქრობს, არასა გრძნობს... მსწრაფად გამოთხილდება, მარჯუჭუნა იდაყვზე დაეკრძობება, თქრობს, სჯის, იტუჯს:

« ნეტავი შენ მარცო, და კიდევ ვიტუჯ: ნეტავი შენ! შენ ხარ ბედნიერი, სრული ბედნიერი; ამიტომ რომ გამოესალმები შენს დანიშნულსა, ერთ სიტუქას ვიტუჯ იმას, რომელიც მას დაასოვდება, გულში დაიხერგავს და გინა მოკლან კიდევ თმში, სიტუქას თან წაიღებს საიქიოს; ის ვიტუჯ: შენ სიტუქას, რომელიც შენ დაგარჩება საუკუნოდ სახეგემოდ. მეღა?! ვინ ვიტუჯს ამ მანუგეშობელს; მაცოცხლებელს ერთ სიტუქას! ვის ვიტუჯი მე ჩემ სიტუქას, რომ დარჩეს იმას საუკუნოდ, ჩემ სახსოვრათ! თქ. მარცო! ას წილ ჩემზე ბედნიერი ხარ!

« მე ხომ არ ვდრტუნავ?!— ვითქროთ:

მარცოს დაკნატრი იმ ბედნიერებას, რომ გამოესალმება თავისს დანიშნულსა. მე ვწუხარ, ასეთი ბედნიერი რომ არა ვარ. ნუ თუ ეს დრტუნავა?— არა მეოხია, არა დრტუნავა არ არის. დრტუნავა მძავს, სათავილოა, ამიტომ რომ ამდებლებ კაცს თავისს თუაღწინ. ეს არის მხოლოდ ჩემი განუსჯელი მწუხარება, მეტი არა არისრა!

ხუ თუ საფუძვლიანია ჩემი მწუხარება?—აჲა მგონია.. დიად, საფუძვლიანი არ არის... მე შეკვდი ჩემი სურვილია, ანაკან გაიგოს, თუთქმის თვით მახაკამაც რომ ისი მიუჭინს, თუმიცა ოსტატურათ მათვანია სჭქელი პინბადე და ჩეჩქსნება ყველას სხუა გუარ, ასე რომ გეგანონ შამამჩინეს ამ პირბადის ქუჭმ ჩემ გულის აზრსა, მაგრამ მახაკე გი მიმიხუდა ამ აზრს, სწორეთ ისე რეგორც მე მივსუდი იმისს აზრს. ორბევს გუდი ერთის აზრით, ერთის გრძნობით მოძრადბს. ეს ის დიდი სიტუქა, რომელსაც კნატრობდი, რომელღც მე მახაკესაგან გავიგონე და მახაკამ ჩემგან გააგონა. მე იმას მოკტატე გუდი, იმან მე მამტაცა. ანუ სწორეთ, ჩუქსნი გუდი ერთმანეთს გადაუბნს. სუ თუ ენათ გამთქმულია სიტუქა ამასე კიდეე უძლავრესი იქსება?—აჲა მგონია ა... და ესრეთ. მე უთხარ მახაკოს სიტუქა, რომელსაც ისი ნატრობდა, იმან მე მითხრა სიტუქა, რომელსაც მე კნატრობდი და ეს სიტუქა, გულის გამაღოცხლებული, სულის განმანათლებელი გრძნობათ დამატებელი დაგვრჩება ჩუქსნ საყურთად და მით ვიცოცხლებთ. ამის შუძვეტ რაღა საჭირთა პირადი გამოსაღმება, ამიტომ რომ ჩუქსნ ესღა ერთმანეთთანა ვართ გუდიით და, სატა უნდა წავიდე! მინაკო, მაინტ კიდეე განუძორებელივ ყოველ წამს ერთათ ვიქნებით.....

«მაგრამ ეს სჯა ცივის გონებისა სრულიად არ ეკარება, სრულიად აგწალავს გულისა. გუდი არ ემოჩნდება გონებას და თხალულობს თავისას. საცოდავი გუდი იქვეჯნება, იტანჯება, რომ ხლარციელათ არ აგვკის მას

მისგოს გული! . . . არა. უნდა დავემოწინაღებოთ გარე.
მეუბნის. ამ შემთხვევაში გულს არ უნდა ავეუკუო, გონ-
ების რხევასე უნდა დავდგეთ. საკმაოა თუ ჩემი გულის
 აწრია მისგოსთან არის. ჯა იმისა ჩემთან! ძლიერ სავ-
 მათა! თქმე! არა . . . რავექნა გული ასე რათ მიცემს! . . .
 რას გავუღუღებოფარ! ასე რომ მივეუკუ ფიქრებს, იქნ-
 ება დამკმართოს რამ. . . »

ეს რომ თქმეს. სანქაროთ წამოხტა ჩუნი ალექსანდრა,
 ტანს ხაიგო და დადგა საიდუმლო ღორჭესე. . . . ღორ-
 ტში ქალი გამკაურდა. ნეკეშით აივსო, ალექსანდრა
 გული დაემსგაღდა. გონება გაუთათლდა, მწყეხარებას
 ადამ გრძნობდა, გრძნობდა მხოლოდთ გამოუთქველ სი-
 ტგობებს. . . .

ღორჭის მიმდევ ალექსანდრა დამსჯებულას სხათ
 და გულათ დად: ფანჯარაში, რომ დაქინა, მონადემ
 მასინ. მისგოს. როდესაც ის გაიკვლიდა კალონათს ქეჩა-
 ში, რომელაც პირდაპირ სხანდა ფანჯარადამ, ალექსანდრა
 გზას უღორცავდა მისგოს და ფიქრში ესაღმებოდა.

თავი 2.

წასვლა.

მაშინ, როდესაც მარცხ სანთელზე იგერავდა კაბას
 და ფიქრობდა ხან თავისი რასტამზე, ხან ალექსანდრ-
 აზე და მისგოსე, რასტამი წავიდა ფორტის ცხენებს
 მოსაუჭანად, ის იყო კიდევ მრავალწარა.

მინაკო იყო სკოტუკით, დივანზე გადასვენებული, ღრმა ფიქრში წასული, მოშლილი, უჩველათ. — თავის თავს არა გვიანდა! წინ ედგა სტაქნით ჩაი და სამოკარი, რომელიც დუღდა და მეტის სიცხარით გარეთ სცემდა ცხელს ღრთქლსა. მინაკომ შეუწარმებული კაცი მიამზგავსა ადუღებულ სამოკარსა. მზგავსად სამოკარისა. — ფიქრ-ობდა ისი. — გაცს უკეთიან სიუწარმულის ცეცხლი, რომელიც ალეებს გრძნობებს, გრძნობები გი მანამ არ დამშვდებინან, გუფს აუოხვრეპსებენ.

მართლადც მინაკო ხშირათ ოხრავდა. დაჯდებოდა ოხრავდა. გაივლიდა ოხრავდა; მხოლოთ ოხვრა მასი იყო წყნარა, საწი, სუბუი და არ მიემზგავსებოდა დედაცც ის მამე და მოუიმქილ ოხვრასა.

დასაჯვრეულია მინაკოს ჭქანდა მასკინი ოხვრისა და ეს მასკინა მათ უფრო აოხრედა იმას, რადენიც შოთს იყო მასგან. ჩეტის ვნახეთ, რომ ალექსანდრს გულით ძლიერ ახლო იყო იმასთან; მაგრამ მინაკოს ეს სრულიად არ სჯეროდა და თუ რომ ეჭვს არა ჭქანებოდა ისი, ოხვრის მაგიერ, სახარულით გადარეოდა.

სულ ნახევარ საათი აღარ წმებოდა და ამ ტკბულის და მასთანვე მწარის ნახევარ საათის უკან მინაკო უნდა გამოცალმებოდა ქალქსა, საიესეებსა, მუკობრებისა და ნ. მ. ტნკათ ალექსანდრას. უკანასკნელასათვის სურდა მას ჩაებარებისა თავისი გული, მაგრამ ასეთი მასის ფიქრით, შოთს, ძლიერ შოთს იყო მასგან.

როსტომი დაბრუნდა ცხენებით და კალენის შარშია

ვე შესწება მარკოს, რომელიც იმასთან მიდიხდა.

—მარკოჯან, შენა ხარ! უთხრა როსტომმა დადონ-
ებით: შატრეე რომ ეხლა, ემ საათს მახრდში მიუღივ-
ათ?

—გიცი, როსტომჯან! შენ კი გენატყალეს მარკო,
ნუ სწუხარ! იმედი მაქვს მშვედობით დაბრუნდეთ ორ-
თვეზე.

—როგორი გულგრილი ყოფილხარ, მარკო! შენმა
სიტყვებში მიკვრს!

—განა მე კი არა ვწუხარ! განა გული არ შერღუჭვა!
მაგრამ, აბა რასა ვიქო! რა შაკვიძლიან! ნუ თუ მიხაგ-
ელს თავს დაანებებ?

—ღმერთმა დამახსნას უგუნურობისაგან, რომ მე მი-
ხაგელს ერთ საათს არ მოკშობდე! მაგრამ მე ვწუხარ,
შენ რომ ვშორდები.

—არათყრია, როსტომჯან! გონება დაიყოლე და—
ღმერთიც შიკაწიკა. ორი თვე, როგორც ერთი დღე,
მაღე გაიბრუნს. მაღე ვნახეთ კიდევ კრამანუთსა, ნუ სწ-
უხარ, როსტომჯან!

—მე გულზე ვითქვამს, მშვედობით დაბრუნდებით. —
უთხრა გულას სიშავრით როსტომმა; როსტომსაც,
თუთქოს, ნეგეში უცებ საიღღამაც მიუცა.

—ღმერთით. იმედი მაქვს მშვედობით მიხვიდეთ; მაგ-
რამ გაუფოთხილდი ბატონისა.

—რა თქმა მინდა! თუთან ზემა ბატონმა ვაჩუა ოცის,
როგორც მე იმისი მომღეუდი ვარ. მაგრამ ომში შეუ-
ბოვანია, უშიშარია, წარბაზნის ტყეობა თოჯლის გუნდს

ათ შიანინი, თოფის ტყვია—კენჭებათ. თუთქოს კენჭა-
 რბას, თამაშობს ომში.—ასეთი გუჯადია!

—არ შეიძლება, ომში არ დაესწროს?

—რატომ შეიძლება! წარბაზნები მაგას აბარია და
 წარბაზნით ომი უფრო საშიშია, ვიდრე თოფითა. ამ-
 ასთან მტერი უოკელთვს ცდილობს წახდინოს მოპირს
 დაპირეს წარბაზნები, რომ გამარჯვება იმას დარჩეს.

—შორს ხომ დადგება, ასე რომ წარბაზანი იმასთან
 ვერ მისწვთეს!

—საქმეც კი არი, შორს ვერ დადგება: შიგ წარბაზნე-
 უბში უნდა ტრიალებდეს.

—რა საშინალება იქნება, რა ღმერთო! მაშ რა უშვე-
 ლება მახავოს!

—ღმერთი თუ უშველის, თორე იქ კაცი რატომ
 გადაჩქება სიგუდილსა! ორმოცთათასი თოფის ტყვია
 სეტყვსავით მოდის; წარბაზნის ტყვია ხომ სასხლს
 უშრობს კაცსა. ამის კარდა, ომი საშინელია უფრო მას
 შინ, რადუვაც მტრები ერთმენერთს დაერევიან შტიკე-
 ბითა და ხმლებითა. არ შეიძლება წარმოიდგინო, მარია
 გო, რა უოკოხეთია ომი! რა შაშიშარია, რა გამშურავია
 ომი!

—მაშ რატომღა გადაჩქებიან ხალხი ომში? ჭკითხა
 შენით გადაფოთრებულმა მარკოშმ გუჯის განკალით.

—აბა მანდა სჩანს ღმრთის ძალი, მარკოჯუან! ორმო-
 ცი ათასი თოფი და ორმოცდი წარბაზანი ერთთ ერთ
 წამს გაუარდება და იმთუნა ორი ან სამი ძლივ მოხუ-
 ლება კაცსა.

ისინივე დედას ასიგმარებდა.

— მართლაც შენი ჭიჭიბე, როსტომჯანი! შექვეყნა სიხარულით მარიკომ.

— მართლაც გუბსებია, შენმა სიღოცხლემ, მარიკო! თუ ასე არ იყოს, ვილა მოვა ცოცხალი!

— შენ როგორ ენასვი ვინაგვალე, როსტომჯანი, რომ გული გამიხარე თორე განაღამ აქვე წავაქეცი შაშასგან და ელდისგან.

— შენ რას გეშინიან?

— შენა როსტომჯანი!

— მე არა დამამკვდებარა! ნუ სწუხარ! შე რაში არ ღაკქსწრება!

— მაშ მხვოს თავს დანებებ?

— თუნდა თავიც არ ღაკსებო აბა მე რას უშეელი! მაგრამ ჩუტს სებას არ გვამდეკენ ღაკქსწრათ რამში.

— აჰ! — ამოთხრა მარიკომ: ნეტავი შენც მხვოსთნი იყო! იმასთან რომ იყო, ვინაგობაა, ან ღასტრან, ან ღაქცინ, შენ მაქვეყნებია, გამიხსნა სიკვდილისგან.

— მადლობელი ვარ, მარიკო, ეგოთი კარგი გილა რომ გაქქს! შენმა სიღოცხლემ, მხარიათ! მგრამ სე გეფიქრება, მხვოს ანა დამკვდებარა; მძულობათ მოგაღო.

— ღმერთმა იხებოს, ღმერთმა! იმედი მაქქს, ღმერთი არ მაინღამებს თქეტს უბედურობასა, რომ ჩუტს არ გაუბედუროდო.

— ვინა ხართ ეგ თნეტს?

— მე და ჩუბი ალექსანდრია.

— ალექსანდრას რაღა აწუხებს!

— რას ამბობ, ყმაწვილო! ავი გითხარ, ალექსანდრე მინდა შეკრთო შეთქი მინავოსა!

— ეგ შენ განდა; იმითაც ენდათ?

— უნდათ, მენძა სიტყვებზე, უნდათ, თუმცა კერც ერთს ვერ გამოუცხადებია.

— შენ როგორ მინავდი?

— მე მინავდი!

— გულო მასინა ყოფილხარ, მარგო!

— რა სჭირთა გულომასნობა, როდესაც ჭკუით ყველას მინავდა გაცა, თქვა მანდამკბს...

მინავომ წარის ხმა რომ გაიგონა, ჯერ კი ერთწამს ჭმენვარ დაუძინავა გულო, მაგრამ სარქია რომ ჭმენვა გადაეყარა გაშხენდა და დაძეურა წასვლა.

როსტომი ბარცს ეხედებოდა და აღსკუბდა ტრანსტრისში.

მარგომ, რომელიც შეჭეუტა როსტომის, მოიგოთხა მინავო.

— აბა, მარგო, რას იტყუ, როსტომ რომ მიმყავს თსმადლოში? — ჭკითხა მინავომ მხარეულთა.

— თქვენსი სიბაა, ბატონო! მე რა შექმდიან! თუნდ შემქმდარს გადგვა, აბა ისე როგორ გუგთაუღებია, რომ მოგამართოთ როსტომი, რომელიც ეხლა უფროს სჭირთა თქვენსი.

— ემ დღობ, მარგო, მაგ გრძნობასიოხს. იმედი შეჭეუტს ჯერ დეუთისა, ზერმე შენის დოცვისა, რომ მშვიდ-

ობით დაგბრუნდეთ. მაშინ ვა. . . .

მარიკომ აღარ გაათავებინა სიტყუა მისაკლსა, რომეც
ღსაც მოახსენა:

—მარტო ჩემი ღოცუა რას შეგაწევთ; აჩის ერთი
აღამიანი, რომლის ღოცუას ღმერთი შეისმენს და თქუა
ტნ მიჰიდობით მოხმანდებით.

—უტ. ეგ რა ძღუერა შეიხე შეოლია! ვინ აჩის, რომე
წავიდე და ხელები დაუგოცნო! მაშ ეხლა აღარა მჭიკსრა!

—ვითამ არ იცით!

—გარწმუნებ, არ ვიცი.

—იცით, თქუტნ სიტოცნლეს ვფიცავ. იცით!

—ახლა რაგონა დაგარწმუნო რომ არ ვიცი.

—იცით, ბატონო, იცით!

—რომ აღარ ვიცი, რა მასუხა მოგცე! ახა ვინ ვით-
ხრა, ვინ აჩის!

—სახელი თქვთ.

—ვისი სახელი ვთქო! ვერ უნდა ვიტოდე, შეტყე. . . .

—ჩამოთვალეთ ვისაც იცნობთ.

—რომელი ერთი ჩამოგთვალო! თათს ვატს ვიცნობ!

—თუნდ ჩემი ბატონებოღამ დაიწეეთ.

—ო. იმათგან ვი მწამს, ისინი ჩემთვის იღოცვენ, -
სეთი კარგი ბძანდებან!

—განსაკუთრებით რომელი უფრო მსურვალეს გულ-
თ იღოცავს?

—გოსტანტინე?

—გოსტანტინემ კარგა არ იცის ღოცუა.

—მარიამი?

—ისი ილღოცავს, მაგრამ ისე არა, რაგორც სხუა.

—მარცო?

—მარცოზე უკეთესი დატრიათ.

—ახა ვინ?

—თქუტუნა ბძანეთ.

—აღარ მახსოვს. — ბარბარე?

—არა, არა! ერთი გიდეკ დატრიათ.

—რავენა, ვინ უნდა იყოს? ალექს... და აღარ დას-
რულა მინაკომ ალექსანდრას სახელი, რადგან ვერა ვბუ-
დავდა იმისი სახელი ეხსენებინა. მინაკო ძლიერ შეწით-
ლდა.

—ჰო! შეჭყვრს მარცომ მხიარულათ: ესლა გამთი-
ცანით...

მინაკო გავიდა გარეთ ტრანტისის დასახედავით.

მცირე ხანს შემდეგ დაბრუნდა ოთახში მინაკო; იმას
შეჭუჭა ბარბარე, რამეულიც უანობდა თეიმურაზის ამ-
ბებსა.

—... ეს არის მეც ესლა მიკდივარ სოფელში, მინაკ-
ოჯან, რომ მამული ჩაგობარს. იმ ღუთის მტკრმა ესე
გი დამტანჯა!

— აქამდან რატო არ მითხარით! მაშიდას მზემ, მე
გატნობებდი თავს ვიდაცა თეიმურაზია! ესლა რაღას უშ-
ველი. მაგრამ თუ მშუდობით დაუბრუნდი, თქუტუნ ხახავთ
იმისს თამაშას!

— გულს ნუ იშოფოთებ, შინ სახელს ვენაცუაღე. მინაკ-
ოჯან! განა ისი ღიჯს იმოდენად რომ ასე გაცმა თქუტუნს
რამე იმაზე, იმ კაცთ არა მზგავსზე! გული დაიმშუდე.

ღმერთს აქჟეს სამართალი და გადახდება კიდევცა.

—ღმერთა კაცის ხელით გადახდევანებს ბორბტშო-
ქმედსა. — უპასუხსა შინისსანებით მისაკომ: იმისთანა
უმზგავსმა დაამტროს ქალი თავისს თჳალ წინ. — მხეცი,
ნადირი უნდა იყოს და არა კაცი! ახ, ნეტავი შამეტეო!...

— აბა მაგიტომაც არ გითხარი, შენმა სიტოცხლემ
მისაკომ! ჩემი სურვილი ის არის, რომ შენ არ შეკბასო
იმ მხედსა. იმ ტუის დათვისა, ისიც კმარა, თუ გრძნობა
აქჟეს ერთ გამოჩენილ სახლში რომ დაუმტოვე იმას თავისი
რეგვენობა. რეგვენია, მისაკომს მშემ, რეგვენია! თუ მშ-
ვიდ ბაა და მშვიდობით გნახავთ კიდევ ერთმანეთსა, მამ-
ინ გაამბობ დაწვრილებათ იმიისს უგუნურ ამბებსა, და
იმასაც, როგორც მე ისი შაკარცხვინე, დაკამარცხე.

— მაინც კიდევ მაგიოთი შუ კმაყოფილი არა ვარ! თქ-
ჴტნ თქჴტნი გიზღუე იათ, მე ჩემი უნდა გიზღვიო,
მაგრამ ჟერ დრო არა მაქჟეს ამაზე ვითუქრო! ლდესმე-
ქნება....

— მხათ განლავს, — მოახსენა როსტომმა მისაკომს.

— მეც მხათა ვარ — მშვიდობით მაშიდა! ბარბარე და
მისაკომ გადაეხვივნენ ერთმანეთსა. ბარბარეს ცრუმლები
გადმოსცვივდა.

— მშვიდობით, შენი ჭირიმე მისაკომ! ღმერთსა ვთხ-
ოვ მშვიდობით დაბრუნდე შენის დედამამის სანუგეპოთ,
და მაშიდის სასიტოცხლათ. შენ გუნაცუბლეს, მაიდა
შენი, წიგნი მომწერე ხოლმე....

შარიკო და როსტომიც გამოესალმენენ ერთმანეთსა.
საცოდაობით აივსო, ვინც გი ნახა ამათი გამოსაღმება.

ЕЪ БОГОМЪ! უბანა კუჩქსა მისაკომ და პირჯუარა
გამოისხა.

— сь Богомъ ребята! დაჭკიულა ტყენებს კუჩქრ-
მა და ტარანტასი გაქანა ქლქას ქენებში.

ალექსანდრას სხლეს რომ დაუხლოვდა, მისაკომ შახ-
ედა იმისს ოთახის ფანჯარას ალექსანდრამ შეასწრო
თაშადი მისაკოსა და უთხრა. «ღმერთსა ვთხოვ მშვიდობ-
ით დაბრუნდეთ.»

თავი 3.

გადაწვევები.

იმი დილას კოსტანტინე და მარია იხდნენ ცალკე
ოთახში, ტანტზე რომელაც დაფენილი იყო ხალიჩითა
და ქეჩითა.

კოსტანტინე იჯდა შოკეტილი, ახალუხით, და სწევდა
ნადიმით ჩაბგსა. მარია გვერდით უჯდა, ეგრეთვე შო-
კეტილი და მარცხენა ხელით ათამაშებდა ქარვის კრია-
ნოსანსა.

კოსტანტინეს სრულიად არ ეტყობოდა, რომ ყოფი-
ლიყო რომელიმე ფიქრით გართული. მარიაჲ იყო და-
ფიქრებული და თვთქოს ცდილობდა გადაწვევა რაღაც
საკანი.

ბოლოს მარიაჲმ მისწევტა მდუშარება.

— დღეს უთუოთ გამოიტან პრიგაზიდამ ფულსა?
ჭკითსა მარიაჲმ შეუღღესა.

ღიბლ, დღეს მივიღებ, უშასუხა კოსტანტინემ; ამიტომ უფრო ვაშურებ ფულის გამოტანასა, რა დროა ალექსანდრას გათხოვებისა.

— მეც მანდ გახლავარ, შენა ჭირიმე. ჩემი თქმით ეტ გახლავარ; უმაწვლი ქალი თუ წლეულად დაგვრჩა გასათხოვარი, მერმე უფრო, რკუნად სანში შევა, დაგვიძმადება იმისი გათხოვება. მაგრამ ვერ საქმრო უნდა აკარჩიოთ, მერე ფული გამოვიტნოთ; თუ არა, შენა ჭირიმე, აბა რას ეგუებ, ან რა სასარგებლო იქნება, თუ ფულს ესლავ გამოვიტნოთ და სასიძო არსად გვეყოლება ხელის ჭეჭხა, როგორც იტყუან; ფული; შამოგვეხარჯება, ასე რომ ვერცგი გავიგებთ.

— მართლაც, მარამ, შენმა სიტყვებზე; მაგრამ ესეც მოიხსენე, თუ მზათევი მზათ არ ექნება ქალსა, აგრე რიგათ ვერცხს გაბედვს იმისს შერთუას.

— მაინც გეყოლება მხედველობაში უმაწვლი კაცი. მიზბანე.

— შენი თავი არ მამიგუდეს, მამა ჩემი არ წაშიწყენდეს, კოსტანტინეს არავინ არ აკრჩიოს თავის გულში სასიძოთ. აბა რას მიბძნებ, მარამ, შენა ჭირიმე, მე როგორ ვისმე შეგებუნებ!

— შესვენასე არ მოგახსენებ, შენა ჭირიმე. ჩუტნ ვის უნდა შეგებუნებ... მე იმას მოგახსენებ. იქნება რომელიმე უმაწვლი კაცი უფრო მოგწინდეს.

— ესლანდელ ვე წვლ კაცებში მე უფრო მამწონან მიხაკა და თეიზურას.

— კეთილი. ესლა მიბძანე, შენა ჭირიმე; მაგ ღრში

კინ უფრო მოგწონს? ჭკითხა მარამშა კონსტანტინეს დაფიქრებით.

— სწორე მოგახსენო, ჩემო ბატონო, გული უფრო მოიქონოს მისკოზე.

მარამ დაფიქრდა.

— თეიმურაზიც არ არის დასაწენი, — განაგრძო კონსტანტინემ: მაგრამ მისკოზე გული შემკვრდა.

— მოგახსენო. — უმასუხა მარამშა: დედამა მოვაღვა შულისა, თუ შესაფერ შეუღვეს ვერ აურჩევს. მხოლოთ გარეგნათ არ უნდა მოვაწონოთ ყმაწვლი კაცია; საჭიროა გიქონიოთ მხედველობაში შეძლებაცა, ზრდილობაცა, ცოდნაცა და სასიათებიცა. ჩემი ალექსანდრა რომ ჩაუარდეს მოუხეშავ კაცსა, ან ღარიბსა, როგორღა იცოცხლებს! მეც ხომ მშათ უნდა მქონდეს სამარე გათხრილი!

— ღმერთმა დამიხსნას, მარამშას, მაგ საშანულები საგან! მიუგო შიშით კონსტანტინემ: ალექსანდრა. — ოჰ, ღმერთო, — ალექსანდრა რომ ჩაუარდეს ცუდ კაცსა!...

არა, ჩემო მარამ, ნუღარ გამაგონებ, შენი ჭირომე, უსიამოვნო სიტყუისა! ეგრე არა მეკის განდილი ჩემი ალექსანდრა, რომ მხეცს მიუგდო საწამებლად!

— მეც ეგ მუენებს და არ შემოძლიან ერთ ანრზე დავდგე თუ მოვანებო ალექსანდრას, რომ თუთან აირჩიოს საქრმე. — რომელი ჩუჭულება ვერ საქართველოში არ შემოიწუღა. — მამან იქნება უფრო ცუდი დემართოს თუთან მძამე ხასათისა ალექსანდრა და ან სრულად არავის მოიწონებს, ან, თუნდა მოიწონოს კიდევცა, ვერ გამოაცხადებს, ან იქნება ისეთი ანრჩიოს, თუ გაბედა

ანჩევს, რომ ბოლოს ინახოს.

— შენმა მხემ შარიაში, სჯობს ისევ მამაშვიპის გჭაღ-
 'სე გაკვიაროთ. ჩუტნ ვითუქროთ, ჩუტნ ავარჩიოთ, და
 ვინც ღმერთმა გვაკონოს, იმას შეკრთოთ ალექსანდრა.
 ჩუტნ უთმანეთი რომ არ ავარჩიოთ, ერთმანეთი რომ
 სიუჭარულით არ შევირთოთ, ერთმანეთი რომ არ გაშო-
 ვცადეთ, ვითამ რა ცუდი მოგვივიდა! ღვთის მადლით
 სიტკბოებით, სიუჭარულით შეკებრდით ერთმანეთისაგნ
 ერთი მწარე სიტყუა არ გაკვიგონია. ჩუტნ ვსეღვოთ მრ-
 აკალ მაგალითს ევრლშაში და სსჭუგან. ვინც გატიუებულ
 სიუჭარულით, ერთმანეთს იწთვენ, იმათ უფრო კოილი
 ბოლო არა აქუთ: მესამე დღესვე ერთმანეთი სძაგთ,
 ასე რომ ერთი აღმა მირბის და მეორე დაღმა
 ერთმანეთი რომ არ დაინახონ. ჩუტნ, ქარაკელებს, სიუ-
 ჭარული წყნარწყნარა გველეძება, ძარღვებში გვიჭდება,
 თანდათან გვიცხოვლდება და სიუჭუნოთ გვიუჭარს ერთ-
 მანეთი. შენმა სიტყუარულემ, შარიაში, მამახეში არ წამიწ-
 ყნდება, დილით საღამომდინ რომ არ დაგინახო, მე ჩემი
 დამეძაროება. ახალი შეცნიერება ვი, თუმცა ხამდვილი
 შეცნიერება არ არიან, ამიტომ რომ შეცნიერებას გადა-
 მხტარან და შეცნიერება, რომელითაც თავი შოაქუთ. უგან
 დარჩენიათ, მასხარათ გვიგდებენ, რომ ჩუტნ უგრძნობ-
 ლად ვინთავთ ერთმანეთსა. უგაცრკათ, ეგები იმათი
 გრძნობაერი სიუჭარული ერთბაშათ დაემჯობინოს ჩუტნ
 სს უგრძნობარ სიუჭარულსა! დიად, ხომ არ ნებაესთ!
 ჩუტნი ჩუტნულება, გარწმუნებ. სჯობთა ახალ მოგონილ
 ჩუტნულებსა.

— მაგასაც ნუ ბძანებ, შენი ჭირივე, უშასუნა შარიაშია

დამშუდებით: მე კერ დაგულისხმები სრულად. ჩუწნადა
 და სხუგანაც მრავალნი არიან კარგნი და მრავალნი ცუ-
 დნი; კარგი კარგს თუ შესუდა, რასაკვირველია, ბედნიერ
 იქნება. მაგრამ ხშირათ მოხდება, რომ ცუდი კარგს
 შეეურება, მაშინ კარგი ცუდისგან იტანჯება. ცუდი კა-
 რგს რომ ასე ხშირათ არ შესუდეს, მე ჩემის აზრით
 გამჯობნებ: ქალს, არ არის ჟერი, მიეცეს სრული უფ-
 ლება, მარტო თუთან აირხიოს საქმრო, ამიტომ რომ
 გაუკაცის ცბიერობით შალე მოტეუვდება, რადგანც სუს-
 ტია და გამოუცდელი. მეორეს მხრით ქალიც ბრალაა,
 თუ აურჩევს სხუნი განუსჯელად, წინ დაუხედავად, გან-
 მოუძიებლად საქმოსს. ამიტომაც საჭიროა: ქალმა რომ
 აირხიოს საქმრო, მშობლებმაც უნდა მიიღონ მონაწი-
 ლეობა არჩევამა, ესე იგი, გამოაცადონ, გამოიკუდიონ
 ხასიათები არჩულის გაუკაცისა, რადგანც ისინი უფრო
 გულგრილად და დაგულისხმებით გამსიფუნებ, სისძიოსს,
 ვინმე სიუჭარულათ აფეთქალი ქალი. მაშინ რასაკვირვე-
 ლია ქალი უნდა დამორჩილდეს მშობლებსა, ნამეტნავათ
 თუ ქალი სრული წლოვანი არ არის, ამიტომ რომ ამ
 გუარ საქმეში უნდა მოქმედებდეს სრული ჭკუთა, ესე იგი
 გამოცდილებით დაბრძნილი ჭკუთა, რომელიც გასაიხი-
 ვარს ხალ გაზდა ქალს შეუძლებელია ქქონდეს, რადგანც
 ჟერ სოფლის გაუცნობელია, მაგრამ ჩუწნი სჯა არ მა-
 ესება ჩუწნ სიგანისა, ამიტომ რომ ალექსანდრა, როგორ-
 ც მთკესსესება იმისი ხასიათი, არა დროს, გულშიც
 რომ ქუწინდეს ვინმე არჩუელი, თუთან არ გვეტყვს; ნამ-
 დჯალიკი უფრო ის არის, რომ ისი ქმარზედ არა ფიქ-

რობს

— მაშ, როგორც მოგახსენე, ჩუბნ უნდა აუჩინოთ საქმრო. უთხრა კონსტანტინემ.

— დიად, შენმა ვაჟმა!

— რომელი ავარჩიოთ: მისაკო თუ თეიმურაზ?

— მეც მაგასე მითხრს მოვილაპარაკო. როგორ იცნობ მისაკოსა? ჭკითხა მარიაშმა.

— ერთის შესედეით კარგ უმაწველ კაცათ ვიცან; დასაშოენი არა ვიცირა.

— მე მოგახსენებ, ჩემო ბატონო: მისაკო მეც დიად საუცხოო უმაწველ კაცათ ვიცან, ასე რომ ჩემ თუალში ისა უნდა გადაქობდეს თეიმურაზსა სიგეთით; მაგრამ წამოადგინე: მისაკო სამხედრო კაცია, ყოველთვის უნდა იმყოფებოდეს ომებში, უბინაო და უსახლკარო განლას, ღარიბია, ხასიათებითაც, ავგან იტის როგორია, და რადგან ველათ უფრო ხშირათ იქცევა. ვიდრე სამოქალაქო საზოგადოებაში, იქნება ცუდიც იყოს. ალექსანდრას ამ გვარი ქმარი კარგა. როგორც შეაფერება და გაზდილია, ვერ შეინახავს, ხელს ვერ შეუწეობს, ვერ განებეიერებს, საზოგადოებაში ვერ გამოაყენებს. მისაკო საომრათ უნდა იყოს, ალექსანდრა კი მარტო იყდეს, იმასს გზას შესწავროდეს, ყოველ წამს გული უბრუნდებოდეს და მოელოდეს ცუდ ამბავსა, ითმენდეს ნაკლებულობასაც ცხოვრებაში; საზოგადოებაში გამოჩნეული, სიღარიბით დინარული, — სომ გული გაუსკდა! მერმე ვინდა მოგვცემს მეორე ალექსანდრას! რათა. რა გაჭირება მაქვს, საუჭარკელი და სათუთი ქალი, კარდიკით გაფურჩხილი.

ნებიერთა გავდილი ჩემის ხელით გადავაგდო, მივცე ყოველ გუბარ და მოუთმენელ სატანჯაქისა, სიციცხლით გაკამწარო, ჩემის ხელით ცოცხალი დაკმარხო!

—მაშ თეიმურაზს უნდა მივცეთ.

—ჩემის აზრითაც თეიმურაზი ძლიერ კარგია. ყოველდღე უჩვენებს თეიმურაზსა: ზდილობასა, ხასიათებსა, გულსა, ენასა, სწეულსა, კაცობასა, ჩინსა, ჯამაგარსა, სიმდიდრესა. ჩუბნი ვიცით, ემა და მამელით თეიმურაზი ერთი ათათათ მისაკოცე ძლიერია, სასახლე უდგას იმას ქალაქში კარგი და მშუბნიერთა თურმე აქვს მოსწეობილი; სიმდიდრე თურმე სამკაულისა თუაღს აუჭრელებს კაცსა; დედა ჭყავს კარგი და ჩინებული, ცხოველებს აქვს საუცხოო, ორდენებით სრულია, და თან და თან წარმატებაში შუკა. რა დაგვიშლას, რომ ალექსანდრს არ მივცეთ ამ საუცხოო კაცსა?!

—ეგ ქება სხვსგანაც გამოგონია. ჩუბნიც უკეთესი სიძე აღარ გვინდა.

—უკეთესი ვინღა იქნება და ან სადარის. გვარით და ჩამამაუღობითაც მისაკოცე გამოჩინებულია.

—ესღა ჩუბნი უნდა კითხოვოთ თეიმურაზს შაირთოს ჩუბნი ქალი, თუ იმან უნდა გვითხოვოს?

—ათი დღეც არის რაც მითხოვს თეიმურაზი ალექსანდრსა. ლიფსიმეა შუამავალი და მოსვენება აღარა მამქვს მისგან.

—იქნება მართლა?

—შენ სიციცხლეს ვფიცავ!

—ზასუხი რა უბძანე?

— ჯერ გადასყვეტილი არ მითქომს.

— ალექსანდრამ იცის?

— არა, ჯერ არ იცის?

— საგზროგელის, აქამდინ ვერც მე შევიტყე. ვერც ალექსანდრამ.

— სწორეთ მოგახსენო, მე თეიმურაზ გულში არ მომედიოდა, იმედი არა მქონდა, რომ მივცემდი ალექსანდრას, ამიტომაც არა ვთქვი რა, რომ უბრალოთ ეს ამბავი საქმესწინათ არ გამოსდარიყო; წუხანდელს აქეთ გადაგწვიტე და აი დღეს შეგატუობინე.

— უთუოთ თეიმურაზს უნდა მისცე ალექსანდრამ?

— უთუოთ.

— მაშ მეც თანახმა ვარ. ასე უპასუხა გოსტანტინემ მარიაშა, რადგანაც იცოდა იმისი ხასიათი — რასაც განიგულგებდა, ველაჩაყინ ვერ გადაათქმევინებდა.

ეს გადაწყვეტილება მარიაშა წიგნით ასარა ღიფსამესა. თუთონ გი ისე იყო გახარებული, რომ ალექსანდრას გაუგებლივ, მაშინვე წავიდა ბაზარში სანიშნობო ტანისა-შისის სასეიდაკად.

თავი 4.

ვიზიტი.

ნუ იფიქრებს მკითხველი, რომ გორჯისში ნამდვლად იყო გართული საქმეში. ქრთამის მიღებამდინ გორჯისში განიზრახავდა, შესწოდა თეიმურაზსა მხოლოთ ორი-

ოდეს სიტყვით; მაგრამ როდესაც მიიღო ქართლში, ის ცხარეთ მოეჭიდა შინაკოს სხენებელ საქმეს და სრულის მონდობებით აპირებდა შინაკოს გაუბედურებას. თუმცა ღის დახანამებდინ დაებადენ მას მრავალი, ერთმანეთსე უუცხუდესი აზრები, რომელნიც იმისს თავში ტრიალებდენ, იროდენ, ერთმანეთს ედებოდენ, ისკლანაჟებოდენ, ინასგუნებოდენ. საჭირო იყო გაესხნა ასრები და დაეყენებინა წესზე. რასაკვრეკლია ამ საქმეს მოუნდებოდა დრო. ეს იყო მისევი, რომ გორჯასშიმ მაშინვე არ დაიწყო შეამავლობა შინაკოსთან, როდესაც მიიღო ქართლში.

შეითხველმა გორჯასშის სიტყვითგანვე შეიტყო, რომ ამ ცაჭმა იკისრა გაუბედურება შინაკოსი ამიტომ შესალოთ, რომ ეს უმაწალი კაცი იყო ვარგი, ნაზდულად სუტდა მას, და იამებოდა კიდევ, შინაკოს გაუბედურება, ესეი რომ თვთან არ უნდა გამოჩენილიყო და ისეც უნდა დადარჩენილიყო გაკვინად შინაკოს მეგობრად.

შთელ დღეს გორჯასშიმ იფიქრა, იტანჯა, ეძება, იშოვა საშუალობები. ერთმანეთსე უმსგავსნი, და სიბოროტით აღსავსენი, უგუნურნი,—და საღამოს შეადგინა შემდეგი პლანი, რომელიც შეესაბამებოდა საკუთსად ამ ღმთის შტერსა:

აშინაკოს მოტყუებით მივიყვან თეიმურაზთან,—ასე ამბობდა გორჯასში გულში: გაკატნობ, ვასშამსე გაკმხიარულდები, გაკამხიარულდები, თველესე სიტყუას გადუდგებ და მასთანვე არ ურჩევ რომ შეირთოს, ბრეყს თეიმურაზს მისეს მივტემ ბრეყულის ქტევით და სიტ

ეკთ აწეინას... დაიბადა წყენა .. თეიმურაზს ჭკუიღამ
გადავრეკ. . შამოვაკეკეინებ სამჯავროში,.. ტიღს შუკა-
წამებინებ მთავრობასთან... მისაკოს დაიჭერენ, მისაკოს
გამოაგდებენ სამსახურიღამ... მისაკო არ მოუთმენს მტე-
რსა. დღეს დაუბნელებს თეიმურაზსა... შეკი დავრეკი
ოწიგეს მეგობრად.»

ეს შლანი გორჯასპის უნდოდა აესრულებინა შეორე
დღეს, სწორეთ იმ დღეს, როდესაც მისაკო წავიდა ოს-
მალში სამართ.

თუთქოს რგინის კეტი დაჭკრესო თავში, გორჯასპი
ისე გახდა, როდესაც გაიგო მისაკოს გასულა ქალქიღამ.
მას მხოლოდ ის ეწეინა, რომ შლანი დარჩა აესრულე-
ბელი.

თეიმურაზსკი მისწერა ეს წიგნი:

« გახარებ, თეიმურაზ: ეს არის ამ დიღით მისაკო
წავიდა ოსმალში სამართ. გიხაროდეს: რასაც ექებდი,
იპოვე, რაცა გსურდა აღვისრულდა. ბედნიერი ხარ. მა-
მილოცავს. »

თეიმურაზმა სრულად ვერ მიაგნო, ასე იყო სინარუ-
ლით ატატებელი, — გორჯასპის სიტყუების აზრსა: წი-
გნში დაინახა მხოლოთ სამი სიტყუა: «მისაკო წავიდა
ოსმალში.»

ნამეტნავათ თეიმურაზ გამსიარულდა, როდესაც შეიტ-
ყო სოფელში წასულა ბარბარესიტა.

— ორ დიდ მტერს გადავრეკი, — შეჭყურა ატატებით
თეიმურაზმა: მასასადამე ჩემ საწადელს მივსწულები; და-
ბრკოლება აღარა მაქეს.

სულ დატანებით თეიმურაზმა მაილა წიგნი ლიფსიმი-
სი, რომელთანაც ისი უგზავნიდა შარამის წიგნსა. ლი-
ფსიმი ყვედრიდა თეიმურაზსა და მასთანაკე ექება თა-
ვისს ყოველ შემძლებლობასა; სხუათა შორის სწკრდა
ამ სიტყუჭებით:

«აბა, ჩემო ურწმუნო თეიმურაზ! ესლა რაღას იტყუო!
განა ბეკრი შემძლებია! განა ვცდილვარ თქუჭსთვსა! სუ-
ღარ იქნებით ურწმუნო თემა! »

სასიძო გადირია სინარულით. შაკრამ ღებნა გარდქე-
ცა ჭმუნვით, რომესაც წარმოუდგა მას, რომ აიო თუ-
მანი, რომელიც გაუგზავნა გორჯასმას, უბრალოთ გა-
დაურა.

მაშინ თეიმურაზმა გაშინჯა სთა თავისს ვალებიან. ან-
გარიშით გამოჩნდა ათას ექუსასო თუმანი, ვითამ თუ
შეწუხდა მოკალე! იმან ჩაიტინა და თქუა:

— ცოლის ფულით ნახევარს გადავიხდი, დანაშთენს
მე ვიცი...

მაშასადამე ექუსი ათასო თუმანი ტუული იყო! მაშა-
სადამე ლიფსიმი სტუუოდა, რომესაც უქება თეიმურა-
ზის სიმდიდრესა!..

და ამ ურცხვმა, მხეცმა, გარყვნილმა და ღარიბმა უნდა
ჩაიგდოს ალექსანდრე, ქალი, რომელსაც ისი ბიჭათაც არ
ეკადრება!

თეიმურაზ იყო: ურცხვ, ამიტომ რომ კეთილშობი-
ლური გრძნობა არა ჰქონდა.

მხეცი, რადგანც იყო უსწავლელი, გაუსდელა და ბუ-
ნებითი ჭკუითაც არ იყო მდიდარი.

გარეკნილი. ამტომაც ალექსანდრას ირთავდა მხოლოდ
 ოთ მზითვისთვის და სახელისათვის და არა სიყუარულით.

ღარბი. თუ მივხედავთ იმისს შედიდურობას, შამოს
 სავალი შესამედსაც ვერა ჭყარავდა იმისს ხარჯსა. სახლი
 ჭქონდა ვალით აშინებული; მამული უმეტესი ნაწილი და-
 სტაცა მეზობლებსა, რომელნიც თავისას რდესმე დაიბ-
 რუნებდნენ; მაშასადამე ვალის მეტი არა რჩებოდარა.

თუ ჭკვიანი ბედნიერებაში, რომელიც უცებ მიადგება,
 ძლივ—ძლევ შეიმავრებს გონებასა, რასაკვირველია რეგ-
 ვანი ბედნიერებაში სრულიად დაჭკარგავს იმ ჭკუასაც,
 რომელიც აქვს. სწორეთ ასე დავმართა თეიმურაზსა.
 იმას გაგონა, ენახა კიდეცა, ჩუჭულება ევროპიელთა,
 რომელნიც, როდესაც აირჩევნ საცოლოს, ყოველდღე
 დაიარებან მასთან, გამოუცხადებენ თავიანთ სურვილსა,
 აზრებსა, ხასიათებსა, და თუ ქალი დათანხმდა, შეირთუ-
 ენ. ეს ყოველივე დაავიწყდა; დაავიწყდა რომ შუაკაციით
 ცდილობდა მოეტყუებინა ალექსანდრას დედამა, და რა-
 დგანც მისწუდა თავისს საწადელსა, სწადა დაქმანტრონ-
 ებოდა შაშივე ალექსანდრას და გამოეცხადა სრული უფ-
 როსობა იმაზედ, რომ ისი დამორჩილებოდა იმისს აზ-
 რებსა თეიმურაზს ეგონა, ალექსანდრას თანხმობით მო-
 ხდა ამათი შერთვა.

ამ განზრახვით მთავრით თეიმურაზს და წავიდა ალექ-
 სანდრასთან ეიზიტათ.

ალექსანდრა იჯდა თავისს ოთახში პირდაპირ ზალისა,
 რომელიც გაღებული იყო, და ელაპარაკებოდა მარიკოს.

თეიმურაზს გაექანა პირდაპირ ოთახისკენ. ალექსანდრამ

შეასწრო თქვალი და სხეჩაროთ გაირბინა წაღაში.

ქალი თეიმურაზის დანახვით უსიამოვნოთ შვიქნა, ნა-
მეტნავათ მისთვის უფრო, რომ ისი აწირებდა ოთახში
შესვლასა.

შემდეგ მოგიითხვისა, თეიმურაზმა ჰკითხა ალექსანდრას:

— რატო აგრე ბძანდებით, ქალო?

ალექსანდრას ძრეულ ეწეინა, ასე დაშინაურებულად
რომ იწეო ქტუვა მოვისატი ფრანტიმა და უთხრა: ქალო.
რა მოაფიქრებდა, რომ ეს უგლში გაცი ვერაგობით არ-
თავდა და დაუბატრონა კიდეტ იმასა.

— უსიამოვნოთ გახლავარ, — უხასუხა უგულოთ ალექ-
სანდრამ.

— თქუტნი უსიამოვნოვა მე ძლიერ მწეინს. გთხოვ
გადიყაროთ თქუტნი დამხაგრავი გრძნობა.

ალექსანდრას გაუოცდა, რომ უფრო დაშინაურებულად
და გულსსნილად ჰბედავდა მოუხეშავი ფრანტი ასეთ გო-
მზღიმეტსაც, რომლის თქმის უფლება მას არ მიეცა იმ-
მისთვის. ეს გომზღიმეტი ეკალივით მოკლა იმისს ნარა-
ნარ გუფსა, რომელიც ამ შეხებთ გაეწრა.

— გომზღიმეტისთვის გმადლობ. — უხასუხა ქალმა ცი-
ვათ და ძაღდატანებით.

— იქნება გწეინდესთ ქალაქი?

— ქალაქი როგორ მანუენსი?!

— რას მიბძანებ, ქალო, ქალაქი დამატლექებელია კატისა!

— მე ეგრე არ მიტვნია ქალაქი. მე თქუტნი ჭლეტქათ
ვერა გხედავთ!

— უგელა ხომ არ აიტანს ქალაქის ჰავასა. უმეტესი

ნაწილი სვედით არის ავათმყოფი.

—სვედით ყოფილან ავათმყოფნი და არა ჭყერისაგან.

—სვედასც დაკუბებული ჭყერი წარმოადგენს.

—მე ვერ დაგუოანსმებით მაგასე, — უზასუსა ქალმა მტკიცეთ: სვედა დაიხადება უსიამოვნო გარემოებისაგან, რომელშიაც უზარულეს რაღაც თამაშობს კაცი.

—მ.მ სოფელი არა გეუბრებიანთ! — შეჭყურა თეიმურაზმა რაღაც განუცხადებულ მოუთმენელობით.

—სოფელზე ჩუქსნ არ გვილაპარაკებია? — ეს სასტიკი, შენიშვნა მიუტეებს ქალს, რადგანაც იყო გაშფოთებული თეიმურაზის ურიგო ქცევისაგან

—მე გვითხვით.

—მოგახსენებთ. მე ქუჩუანასე არა მშავსრა, გარდა ერთისა: მე შშავს ყოველივე ცუდი, საძაგელი. და რადგანც ცუდი იშავება მხოლოდ რადენიმე ადამიანში, ამიტომ მაც მშავს ეს ადამიანები. გატას გარე ცუდი არა არისა და ყოველივე მშუქსნიერია. მშუქსნიერება არის სული ჩემის სულისა.

—მაშასადამე, თუ ვინმე დაგამწუკდით სოფელში თქუქსნ გარგა გასძლებთ.

—ვინ არის ჩემი დამატყვევებელი?

—მაგალითად, თქუქსნმა მშობლებმა რომ დაგამწუკდიონ.

—ჩემის მშობლებისა მონა ვარ და იმათგან დატყვევების არა თუ სოფელში, გამოქვაბულშიაც სიხარულით მოვიდმენ და ჩემი მოთმინება იოტის რდენიც არ დასუსტდება.

—სხუამ რომ დაგატყუეოსთ?

—ვის აქტეს უფლება ჩემსედა?

—ესთქუათ. მტერმა.

—მტერს დავემორჩილები.

—თქუწნმა მეუღლე?

—რასე ბძანებთ მაგასა? შე მეუღლე არა შეყავს! უპასუხს ალექსანდრამ, რომელსაც უფრო და უფრო უკვრდა და თეიმურაზის უადგილო კითხუა.

—როდესაც გეყოლებათ.

სახლგარს გადვიდა მოთმინება ალექსანდრასი და სწულში არ იტოდა რა ექნა. შებახსოდა და გადნიკრებისათვის ავით მოხურობოდა, არ იქნებოდა, — არ შეკძლო ეწუენინებინა ვისთვისე. შეტო ღონე აღარ იყო, უნდა დაჩუბუღიყო. მართლდაც პასუხი არ მისცა. მაგრამ გულში იტანჯებოდა, რომ მოუსდა ამ უზღულ კაცთან ღაპარაკი და აღთქმა დასდო გულში, თავისს დღეში აღარ დაღაპარაკებოდა იმას ცალკე. თეიმურაზსევი ეგონა რომ ალექსანდრამ სიძცხვილით (ქმარსე) ეკრა უპასუხარა; ამიტომაც სხუა აზრით დაუწყო იმან ჩუწნების ჩამორთმევა და უთხრა:

—სახოგადოდ მოგახსენებთ: ცოლი, ჩემის აზრით, უნდა სრულიად დამორჩილდეს ქმარსა.

—ჩემის აზრითაც. ქმარიც უნდა დამორჩილდეს ცოლს, როგორც ცოლი ქმარსა, ამიტომ რომ თანასწორნი არიან. თუ ასე არ იქნება. ესე იგი, ან ქმარი დაიჩუბეს მომართულ უფლებასა ცოლსე, ან ცოლი ქმარსე. მაშინ უთანხმოება და უბედურება დაიბადება მათ შორის.

—სჯულით მხოლოდ ცოლი უნდა დაშორი ღდას ქმარს; მაშასადამე ქმარია უფალი ცოლისა.

—დაშორილება ცოლისა შესდგება მხოლოდ მაშინ, რომ ცოლმა სული და გული უნდა გაუსწორდეს ქმარსა, ქმარსკი ნაბძანები აქნეს, ცოლს იოტის ოდენი არა აწუგინოს რა, ესე იგი, იმანც სული და გული უნდა გაუსწორდეს ცოლსა, ანუ მოკლეთ. ერთმანერთი უნდა უეჭვარდესთ. თქვენ რაგორ ხედავთ: მართალია თუ არა ესა?

—მართალი განლავს, ერთმანერთი უნდა უეჭვარდესთ.

—მაშასადამე რაგორც ქმარია უფალი ცოლისა, თანაწორათ ცოლიც უფალია ქმრისა; რაკდენ სიუჭარულს, მატყვისცემას და ერთგულებას მოსთხოვს ქმარი ცოლსა, იმოდენს მოსთხოვს ცოლი ქმარსა.

—არა, მაინც კიდევ ქმარი უბძანებს ცოლსა, რომელიც უნდა დაემორჩილოს ბძანებასა.

—ქმარი ვერ უბძანებს ცოლსა, მხოლოდ სთხოვს; ცოლიც მოყვალა აღასრულოს გონიერი და სასარგებლო თხოვნა ქმრისა, სწორეთ ისე რაგორც ქმარმა უნდა აღასრულოს გონიერი და სასარგებლო თხოვნა ცოლისა. მაგრამ, — განაკრძო ალექსანდრამ მოწყენილის და გაჯავრებულის სახით: რა არსით მკითხავთ შე ქმრის უფლებაზე და ცოლის მორჩილებაზე. ვერ გამოვიდა! ცოლს ხომ არ ირთავთ? — თუ ირთავთ თქვენს, საცოლეს უნდა უქადაგოთ თქვენნი ოვალისოფია, რომ იცოდეს თქვენნი არსი და ისე მოიქცეს, რაგორც თქვენსა გნებავსთ...

ამ ღრეს შავიდენს ვინცთიო ორი ქალი და ღამარს-

კი შოსწყდა ალექსანდრასი და თეიმურაზისა.

უკანასკნელი ალექსანდრას სიტყუა გარტყნივით შო-
ხუდა თეიმურაზსა, რომელიც შეწუხებული და დაფიქრე-
ბული წავიდა შინ.

თავი V.

სანიშნობო სამკაული.

მარიამ დაბრუნდა ბაზრიდამ.

იმას ეყიდნა მრავალი ქალის სამკაული ბლოტისას, და
სხუა და სხუა მაგასაუბიადამ დაებაკებინა სახლ-
ში ფარჩები.

მანამ ფარჩებს შოიტანდნენ, მარიამმა თუთა თუთოთ
გახსნა თავისი ნაკაჭრი ნიეთები, გაშინჯა და გააშინჯა
ალექსანდრას ქების შესხმით.

— შენმა სიტყვებზე, ალექსანდრა, — უთხრა გულის
სამოყვებით დედამ: ეს ხელტახტები მეტათ გარგებია,
დახუდე! — იუ, ამ ღენტსა! თუთრ ატლასის ადგილზე
თუთრია ოქრომკედის ყუავილები აყრია. საუცხოვოა, შენ-
მა სიტყვებზე, სატყულოთ და გულისპირათ? შამოხუდე
ალექსანდრას, რა თასაგრაგებია, ერთმანუკოზე უკეთესე-
ბი! ეს არის ესლა შოიტანეს დამოყნიდამ. ეს ნაკერი ღენაქობ
რ ოგორლა მოგწონს! საუცხოვოა. მე ძალიან მაშწონს. მაწაწა
ს ეები, ხშირათ დაყრილი, რაღასაც წარმოგიდგენს!... ეს
ბუსმენტი სტრკესილებიც ძალიან მოუხდება გულის პირსა და
კახასა!.. სამი საზაფხულთ თავზე მოსახვევის მეტი ვერ გიშ-

ოკე, შჯლო; სოკი გჷლაჲ იყოს. აი ალისფერი გასიჩისა, ჩაგხატავს, შენმა გასდამ ალექსანდრას? ესეც თუთრი ყვა-ვილებიანი ბლონდი; ეს ალებლის ფერიც ძლიერ მო-გისდება... მაგრამ ყველაზე მომატებულად შამწონს ეს ბლონდის წამოსასხამი! რა ხელმა მოქსოვს! ჭეშმარიტათ ამაში შიცემული ფული არ არის დაკარგული!...

ალექსანდრამ სრულად ყურადღება არ მიაქცია ნიკოებსა და არც ერთი ნიკოთ არც შაიწონს არც დააწუნა; მარა-ამსკი ეგონა, ქალი, რა ღიზისხავდა ნიკოებსა, სიხარუ-ლით აიფთრობოდა და შადღობას მოახსენებდა. ქალს არ იაშა ნიკოების სუიდეა არა იმიტომ, რომ კეკელუტობა არ იამებოდა და არ უუჭარდა, არა, შესალოთ მისთვის, რომ გული უგრძნობდა, რომ ამ ნიკოებს საგვრგვინად უშინალებდნენ.

იმ ერთ გვრას, რაც ლიფსიშიმ სშირათ დაიწყო ლა-შარაკი თეიმურაზზე, მარიამ ხან და ხან ეტყოდა სოლ-მე ქალსა: «იქნება, შჯლო, მოკლე ხანს გათხრავდე» პირ-დაპირკი, რომ თეიმურაზზე იყო ლაშარაკი დედამ არ გა-მოუტყდა ალექსანდრას, იმიტომ რომ არ იცოდა, მოხ-დებოდა თუ არა იშათი შერტვა. მისაკო რომ აქ ყო-ფილიყო, იქნება ალექსანდრას ეფიქრა, მშობლები იმასა რთავდნენ, და სიამოვნებით მიეღო ნიკოები; მაგრამ ესლაკი, როდესაც მისაკო მტრის ქმტყანაში იყო წასუ-ლი რაკდენიზე თხვთ, ესლ ჩუტნ გმიჩ ქალსა აღარა ქკონდა ამის იმედი; სხვს შერტვა კი, ვინც გინა ყო-ფილიყო, არ უნდოდა.

მარიამს თვთქმის ეწეინს, რომ ქალმა არათუ არ მო-

უნონა, უსიამოვნოთატიკი მიიღო ნიკოები; აშიტომაც თუ ან ისიც უსიამოვნოთ შეიქნა.

— რათა ხარ უსიამოვნოთ, ალექსანდრა? ჭკითხა მარა-
ამმა გულისკლულობით: რატო ეგრე მრუდის თქალით
დაჭყურებ შენ საკუთრებს, რომელიც გიყიდე მოსარ-
თავით!

— თქუტნმა სიცოცხლემ, ბატონო! მიუგო ალექსანდ-
რამ წყნარათ და ღმობიერათ: ეგ ნიკოები შეტია. რაცა
მაქუ, ჟერ კარგახანს შეუოფა.

— შენმა სიცოცხლემ, ქალო, ეგ მიზეზი არ არის! რა
პასუხია! ქალს მოსართავი არ მოსჭარბდება!

— მრავალი განლავს მოსართავი, თუტნმა მზემ, ღედა!
ეს შეტია.

— რას უფთხილდება, შულო? ფულებსა?

— დიხ, ჩემო ბატონო! კეკლეუცობა მიუტარს, თქუტნ
კარგა მოგესენებათ; მაგრამ იმდენი სამკაული განლავს,
რომ საკმაოა ჩემ კეკლეუცობისათვს.

— შენ არ მაშიტუდე, ალექსანდრაჟან, რომ საკმაო
მორთულობა არა გქონდეს! რას მიბძანებ, ქალო! ქალი
ყოველდე უნდა უიღულობდეს სხუა—და—სხუა მოსარ-
თავსა!... დარემდი, შენ გავდას! ეგ შენი ქცევა შე არ
მიაშება.

— თუ მამასაც შეგაწუხებ, აბა, თქუტნი ჭირიშე, რა-
ლათ მინდა მოსართავი!

— შენ გენატრუალის, შულო, ღედა, რომ ეგეთი კარგი
შეეგხარ! მაგრამ სარწმუნო იყავ, რომ არც შე.
არც მამას არ შეგაწუხებს შენი მორთულობა.

—ვიცი, ბატონო დედა, კარგა ვიცი, გიყუარვართ და გსურთ ჩემთვის ყოველივე კეთილი. მაგრამ ჩემს გულისთვის ვალის აღება. სწორე მოგასხენოთ, არ მიაშება.

—მაგარე ნუ სწუხარ, შენი ჭირიბე, ალექსანდრა! შენ გენატყალოს დედა, მაგარე ნუ შესწუხდები! ჩვენ ცუდ-ათ არ დავიჭერთ საქმესა, ჯა ანკი რას გემართლებით! მამაშაშის სამკვდრო შენც გეკუთნის. სირცხელიც იქნება, რომ ერთი ქალი ჭყუადეს დედამამს და ისიც კარგა ვერ გამოიყუანონ!

ამ დროს შავიდნენ იმათთან ბაზაზების შეგირდები ბოხჩებით.

ერთ შეგირდს, რომელსა ეცო შიხაკის ფერი მაუდის კაბა, ეჭირა იღლიაში ლურჯ სურხანში განუჭული ფარჩები.

მეორე შეგირდს, რომელსაც ეცო შავ მაუდის კაბა, ეჭირა იღლიაშივე თეთრ ტილოს ბოხჩაში განუჭული ფარჩები, და ძლიერ მიჭქონდა.

—მოდით, შჯლო. მოდით. უთხრა ბაზაზების შეგირდებს მარიაშა.

ბაზაზების შეგირდებმა გახსნეს ბოხჩები.

—რა და რა ფარჩები მოატანეთ?—ჭკითხა შეგირდებს მარიაშა.

—შირისფერი და შრქალი მოწიანტივი, დემა, გლასი და ატლასი.

—ორთავემ გადაშალეთ ყველა ფარჩა. უბძანა მარიაშა.

შეგირდებმა აღასრულეს ბძანება მარიაშისა.

—რა ვშჭნოერია, ალექსანდრაშან. ეს შირისფერი ან-

ტივ მოჩე! უთხრა მარიაშმა: აქრომკედლივით ბრწყინავს; ღელუა აქუხს საუცხლოვო. მე ძრეულ მამწონს; ღამე ნამუცტნავათ დაშუქნდება.

—გარგი გახლავს. —უპასუხა ნაწათ ალექსანდრამ: მეუტათ ნაწი ფერი აქუხს!

—რეგო ეტ შირისფერი ანტივ მოჩე? ჭკიობა მარიაშმა მისაკ—გაბიან შეგირდისა.

—ოთხათა და ათშაურათ გუიდიო აწშინსა; მაგრამ თქუხსნი შიირთვთ ოთხ მანათათ. უპასუხა მისაკ—გაბიან შეგირდმა.

—ძვრია! სწორე დაათვასე? უთხრა მარიაშმა.

—ათშაურიც თქუხსნი ხათრით დავაკელ, თორე სხუას ოთხა და ათშაურ ნაკლებ არ მივცემ. თოფობრთაც რე იუიდას.

—ძვრია, შულე! სამა და ათშაურათ მოსტერ.

—სამი მანათი და ცხრამეტშაურნახევა რე მასტრო, ქალბატონო, მაშინც არ მოვტვი. დახედვო, გაშინჯვით რა ფარჩას! ფრანტურის საქონელი, რუსისა ხო არარის!

—შაშ არ აძლევ სამა და ათშაურათ?

—არა, ქალბატონო!

და შაკეტა ანტივ მოჩე.

—შიირთვით, ქალბატონო, სამა და ათშაურათ ჩემი ანტივ მოჩე, —უთხრა შავ გაბიან შეგირდმა.

—არ მოგატყუოს, ქალბატონო! —უთხრა მარიაშს მისაკ გაბიანმა: რუსის საქონელი აქუხს აშას. ხუთ ახანათაც არ გიყიდი ამის ფარჩას.

— შენა თავის მსემ, როგორ არა, — უპასუხა შაკვაბ-
იანმა მისაკ კაბიანსა: ოთხბაზუწაღთუნათ მოგაართმევ!

— მეტათ არა ღირს: ნახევარი კანაფია!

— ქაღვალტონო, ღმერთმანი, გატყუებს, — მოახსენა
შაკვაბიანმა მარიამს: მე რუსის ფარჩა სულ არა მაქნის;
სვარჩანინისა; აი დამოყენის ზღომბი.

— ჭა, ჭა, ჭა! ტყუის რატო არწივი არ აზის, თუ
სვარჩანინისაა. ახა, მითხარ. დაცინვით უთხრა მისაკ კაბი-
ანმა.

— რა გახსუბებთ? მაძლეკო თუ არა სამა და ათშაუ-
რათ? — ჭკითხა მარიამმა მისაკ კაბიანსა.

— ერთი აბაზი თქუწნა ფაშქაშა იუოს. მიწვთ.

და გადაშალა მისაკ კაბიანმა ანტიკომარე და დააპირა
გაეზომა ეს ფარჩა.

— რამდენი არშინი გინდათ? ჭკითხა იმან მარიამს.

— ძნელი არ არის, — როგორ არ შეწყინოს! — წამოი-
ყვრა შაკვაბიანმა: გათხელებულ ფარჩაში სამ და ათშაუ-
რს აძლეკენ და ჩემ საქონელს კი იწუნებენ! აფსუს!
აფსუს! — მახლას, რა გაეწეობა!

— შენც გულის არ დაგაკლებ, — უთხრა სიცილით მა-
რიამმა, რომელმაც ბეჭი იტინა შეგირდების ჩხუბზე:
შენგანაც ვიყიდი; მანამდღეცა გაჩუმიდი, რომ მოურიგდე
ამასა (უჩუწნა მისაკ კაბიან შეგირდზე.)

— მიიერთვთ! რა გაეწეობა! რახან მოკსულებარ, ცარი-
ელი ხომ კერ წაგალ! რამდენი არშინი მოკვჩრა? — ჭკითხა
მისაკ კაბიანმა.

— რათა გნებავსთ, რომ აჭრეკინებთ! — მოახსენა ალე-

ქსანდრამ დედას მორჩილებით: მე პირისფერი ან მიუჭა-
რს, განა ან მოგესხენებათ!

—ღვთა მობატანა, ქალო! პირისფერი მოგნდება, —
უპასუხა ღვიფლით შარიაშმა.

—თუ გი ან მამისდება, რა იქნება, თქუჭნი ჭირიშე,
მაგისი ჩაცმა!

—რას შიბძანებ, ქალო! საკვირველი ხარ, ჭეშმარი-
ტათ! რაც თუალში ან მოგიკა, უთუოთ ან გინდება!
შენმა სიტოც ხლემ, ღელვარე პირისფერი გხატავს, ნამ-
ეტნაკათ დამე; ახირებულად ნაწი სხანხარ პირისფერ კა-
ბაში!

—თქუჭნ სახელს კენატუალე, ნურას მიყიდით: ამიტ-
ომ რომ რაც აქ ფარხაა ანც კრთი ან მამწონს, ანც მამია
ხდება; ფული უბრალეთ გადიბნეკა. რა საჭიროება მოს-
ითხოვს, რომ უთუოთ ესლა ვიყიდეთ საკაბეები, რა-
დესაც მაქუჩს თხუთმეტი მეტი კაბა და ადგილიც ადარ
ანის შკაფში!

—ალექსანდრავან, შენ ხომ გიუჭარს ჩემი მორჩილება!
თუ მე მსურს, შენც ჩემი სურვილის დასაკმაყოფილებ-
ლად შეიგეკე რჩი კაბა.

—ურჩობით ან მამდის, თქუჭნმა სიტოცხლემ,
დედა, — მოახსენა ალექსანდრამ გულმოგუდინებით: ფარ-
ხის მაგეერ, ჩითი რომ მიბოძოთ, დიდ წყალობათ მი-
ვიღებ, სინარულით გავცეკოთავ! მაგრამ შეათსუსება ფული.

ნამდვილად ალექსანდრას ფული გი ან ენანებოდა, —
იმან ანც გი იცოდა შნიშენულობა და საჭიროება ფულ-
ისა, — იმან მხრალეთ ან უნდოდა ახალი კაბეები, რადგა

ანტ გული უსიამოვნოთა ქქონდა.

— თულისთვს ნუ თიქრობ, ალექსანდრას, შენი ჭი-
რიმე! უმასხუა მარიაშმა: თუელი ყოველთვს არის და იქნება.

— მაშ რახან თქუტნი გნებავსთ, ისევ მწუანე მოატრე-
ვინეთ.

— რას ანობ, ქალო! რა შენი საქეა მწუანე კაბა!

— თქუტნი ნებაა!

— მოსტერ... ანშინი, უთხრა მარიაშმა მისაკ კაბიანსა...

მერე შავგაბიანსაც მოატრეკვინა ცისფერი ღამა...

— იცი ქალო, — უთხრა მარიაშმა ალექსანდრას, რა-
დესაც ბაზაზის შეგირდები გაისტუმრა. ბარბარე ხომ სო-
ფელში წასულა!

— როდის, თქუტნი ჭირიმე?

— დღეს.

— ზინ მოგახსენათ?

— წედან გზავე შემხუდა ლიფსიმე; იმან მითხრა.

— რა სახით მეწინა!

— შენმა სიტყვებზე, ქალო, ძალიან შეკწუხდი.

— კარგი ქალი გახლავს, თქუტნი ჭირიმე. — მიუგო
გულნაკლულად ალექსანდრამ.

— საუცხოვო ქალია, ბარბარე! კარგი, სანაქებო დედა-
გატია!

— კარგი დროს გამტარებელი, ჭკუანი, მხიარული,
აღაშინანის მოუჭარული. ან ვიტოდი, თორე ვსთხევიდი
დაჩქენილიყო.

— მეტკვი, რომ გამეგო, ვეცდებოდი ქალაქში დარჩე-
ნილიყო რაკდენიმე კიდეე ხანს, მანამ ჩუტნი წავიდოდით

სლოფელში. შეტათ მიუჭარს იმისი ატეხილი ხუმრობა, მსჯღღონებიანი კრიტიკა და ნამეტნავათ ირონიით ლაპარაკი იმ ადამიანთან, რომელიც არ მოეწონება.

— იქ, ესლა მარტონი დავრჩით.

— რათა, შჯლო? რავდენი ნათესაგები და მცნობები გვეჭინან! უკვლასთან კარგა გაატარებ დროსა.

— არა, იმისთანა არაგინ არის! ბარბარესთან მიუჭარს დროს გაატარება.

— შენგანაც ახილებულია, ალექსანდრეჯან: ჩუჭნის გულისათვის, ღვახისაგან ხომ ხელს ვერ აიღებს. რამ დაარჩინოს, თუ მამულს არ მოუვლის,

— მართალი გახლავს, — უპასუხა დედას ალექსანდრემ. ქმრისა და შჯლის მოვალეობა რომ არა ჰქონდეს, ხშირათ ვამყოფებდი ჩუჭნთან.

— კარგი ქალი უკვლასთვის საუჭარეულია. ეს არის ღარბიბა, თორე...

— რას მიბძანებთ, თქუჭნისი ჭირიმი, ბატონო! სიღარბიბით კაცი არც დაიწუნება, არც დამდაბლდება...

თავი 6.

გამოცხადება კარდაწვევტილებისა.

ჩუჭულებრივ კოსტანტინე, სადილს უკან, მოუვდა ალექსანდრას გვერდით და სიუჭარულით უაღერსებდა, ესუმბრებოდა და ჰკოცნიდა. ქალი, რასაკვრეულია, ბედნიერად ხადიდა თავისს თავსა, რომ დედამამს ასე ძლი-

ერ უეჭარდათ ისი და ამ ტკბილის აღერსით სიამოვნებდა: ეოკელი მისი გკმნობა, ეოკელი ძარღვ იეო და მშვდებული, დამტკებარი, აღსავსე სამოთხის სისარულით და არა თუ მშობლები, მოსამსახურებიცეი ცდილობდნენ მცირედის რითიმე არ ეწეინებისათ. ვატარა ქალბატონისათჳს.

მანამ თეიმურაზს გაიცნობდა, აღექსანდრამ სრულიად არ იცოდა, რა გემოვნებისა იეო უსიამოვნობა, მწეხარება, წეენა, სულის აღმფოთება. ვინც დაიარებოდა იმათ სახლში უცხო თუ ნათესავი, ეგელა იამებოდა ქალს, მაგრამ თეიმურაზიეი არ იამებოდა, თუმა მისეწი თუთონაც არ იცოდა, ნამეტნავათ ეკავრებოდა თეიმურაზის დანახუა იმ დღის შემდეგ, როდესაც ეს მოეხეშავი ფრანტი შეებას ბარბარეს უადგილოთ; მაშინ მაში დანახა ქალმა სისიხლარი შედიდურობა და უგუნური ამპარტეკენება, და ამ დიდმა ნაკლულეკანებამ მოაძაგა მას ფრანტი. დასასრულ თეიმურაზი სრულიად შესაკდა იმ დღეინდელ ვიზიტის შემდეგ. როდესაც ისი ელაპარაკა უგხო უკვლოთ და უადგილოდ ქმრისა და ცოლის უფლებასე.

—აღექსანდრა, შვლო აღექსანდრა,—უთხრა კოსტანტინემ: შოილე თუალება დაგეოცნო... იჯ,რა ტკბილი ხარ, შვლო! შენ რომ გაკათხოვოთ, არ ვიცი, როგორ გაკძლებ უშენოთ!

—მაგასე უადჯღესი არა არისრა,—უპასუხა აღექსანდრამ ტკბილის ხმით: თქუნს ნუ გამათხოვებთ. შე არ გაკათხოვდები და ერთათ ვიქნებით.

—როგორ შეიძლება, შვლო! შენა თავი არ მამაეუ-

დეს, მამა ჩემი არ წამიწყდეს, შენ გასათხოვარი არ და-
გაგდო! რომ არ შეიძლება! ქალი რა წამს ასაკში მოვა
უნდა გათხოვდეს.

— ქალიც არის და ქალიც! უზასუხა ღიმილით ალექსან-
დრამ, რომელსაც ღიმილი ძლიერ უსდებოდა: სოც ქა-
ლს არ უნდა გათხოვება.

— ვერ დავიჯერებ, შენმა სიცოცხლემ ქალა, — უთხრა
მხიარულათ მამამ: მტარე წლეგანისასკი ვერ ვიტყვ, მა-
გრამ ასაკ მოსულ ქალისას, რომ გათხოვება არ უნდა
დეს, არ დავიჯერებ.

— ჯერ ეს ერთი მე გახლავარ, ბატონო მამაკ. — უთ-
ხრა ღიმილით ალექსანდრამ: თქვენმა სიცოცხლემ სრუ-
ლიად სურვილი არა მაქვს გათხოვებისა და შემძღვან
ამ მდგომარებაში დაგჩე რაკდენიმე წელიწადი; შემდეგ
გისას, სწორეთ მოგახსენე, დატეშმარტობათ ვერ მოგ...

ასე თქვა ალექსანდრამ, რადგანც მხედველობაში ჭეჭნა
და მისაკო.

— აი შე კუდიანო! ესაა ჯერ არ გინდა ქმარი, მეჩე
გი.....

— მე სწორეს მოგახსენებ, თქვენმა მზემ! იქნება,
როგორც ესაა, შემდეგშიაც არა მსურდეს გათხოვება. ეს
გარემოებაზე არის დამოკიდებული.

— როგორთუ გარემოებაზე?

— მოისმინეთ, ჩემო ბატონო, — უზასუხა ალექსანდ-
რამ: თუ ქალიგზმობისაგან (ვერს თქო გულის თქმისა-
გან) იქნება ადეკეებული, ან სამშობლო სახლში იქნება
შეიწრებული და სიცოცხლე გამწარებული, მაშინ, რა-

საკვრეელია, ისურვებს გათხოვებას, და მხათ არის შე-
იერთოს ისეთი კაციც, რომელიც დააყენებს უარეს დღე-
სა. მე არც ერთი ამ მიხედვებითაგანი არა მაქვს: მე ბე-
დნიერად ვხადი ჩემ თავს, რომ თქვენთან განლაგარ და
არა ვარ გათხოვილი; როდესაც გათქვდება, მინახიან
მხოლოდ ისი, თქვენ რომ დაგინახავთ, თქვენთან რომ
ვიქნები.

—მაშ ქმარი არ გინდა?

—სრულიად არ მეშურება.

—ხომ გინდა ქმარი?

—ღმერთზე არის დამოკიდებული.

—საქმით რომ ავიხილავ?

—მოგახსენებთ, ღმერთზე არის დამოკიდებული.

—ღმერთმა რომ ინებოს?

—ღმერთმა რომ ინებოს და თქვენცა, სრული მოწ-
ილი განლაგარ.

—მაინც, შენი კუჭისა. ალექსანდრეჯან, შენი სურვილი
როგორი არის: გინდა ქმარის შეერთება, თუ არა?

—არა მსურს. მაგრამ თუ ღმერთი მამიკლენს, ვისუ-
რვებ და შევიერთამ.

მარამ აქამდინ უურს უგდება ქმარსა და ქალსა, და
შეჭხაროდა ორთავეს. ესლა იმანაც მიიღო მონაწილეობა
ლაშარაკში.

—ალექსანდრეჯან! მეც მომიხმინე, უთხრა ალექსით
მარამამ: შენ, შვლო, ამბობ, თუ ღმერთი მამიკლენსო,
შევიერთავო ქმარსა. კეთილი; სწორეთ ეგრე უნდა ფიქრ-
ობდე და სასიუბა გქონდეს ღმერთზე. მაგრამ თუთან

ღმერთი ხომ ხელს არ დაუჭერს კაცსა და არ გეტყვის: ეს შეიძლება. მაშასადამე ჩქარ უნდა ვეძიოთ, ვარჩიოთ, და, თუ ღმერთის ნებაც იქნება, შეგროვოთ. ღმერთი მოქმედებს კაცით ამ გზად შემთხვევაში.

— ჭეშმარიტს მიბძანებთ, ბატონო დედა, — უპასუხა ალექსანდრამ შორნილებით და დამშვდებულის სახით: მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთი სწორედ თუთან დაუჭერს ვაჟსა ხელსა, შიიუჟანს ქალის მშობლებთან და ეტყვის: ეს შეერთოთ თქვენ ქალსა.

— როგორ?

